**რედაქცია**

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალს 1884 წლისათვის გაზეთს

**დროებაზედ**

(წელიწადი მეცხრამეტე)

**თბილისში**, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

**თელავში**, ვანო როსტომაშვილთან.

**ქუთაისში**, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

**ბათუმში**, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

**გორში**, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | 9 მან. | 6 თვით | 5 მან. |
| 11 თვით | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | 8 მან. | 4 თვით | 4 მან. |
| 9 თვით | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | 3 მან. |
| 8 თვით | 7 მან. | 2 თვით | 2 მან. |
| 7 თვით | 6 მან. | 1 თვით | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## იარმუკის ყასაბხანა.

**თბილისი, 22 დეკემბერს.**

ყოველი ქალაქის შინაურს ცხოვრებაში დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ხორაგეულობის სისუფთავესა და სიახლეს. თბილისის მცხოვრებელთა განუწყვეტელმა სამდურავმა ჩვენი ქალაქის გამგეობასაც ასწავლა ამ ჭეშმარიტების დაფასება. მხლა დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზედ, რომ თბილისის ჭუჭყიანი ვაჭრები პატარა მოსუფთავდენ, ცოტა რიგიანად შეინახონ თავიანთი საქონელი, რომ საცოდავ მყიდველებს მიუვიდეთ მაინც გულის სავაჭროზედ, რომელიც ასე ძვირადა ჯდება, მერე ეხლანდელს უფულობაში! მეტადრე გაჭირდა საქმე ამ ყასბებისაგან, თევზის ვაჭრებისაგან და მეპურეებისაგან, რომელნიც თავიდამ ფეხებამდის ამოთხუპნულები არიან, თითქო საგანგებოდ ჩაუყრიათ ტალახიან ორმოში და, იქიდგან ამოყვანილნი, პირ-და-პირ დახლზედ დაუსხავთო.

ღმერთმა ქნას, რომ ქალაქის გამგეობამ შესძლოს და მოსპოს ასეთი «ბუნებითი» უსუფთაობა ჩვენის ვაჭრებისა მხოლოდ პოლიციური საშუალებით. მაგრამ ჩვენ კი ვერ მივსცემთ დიდს მნიშვნელობას ხსენებულს საშუალებას, უკეთუ გამგეობამ სხვაფრივაც არ შეიტკივა თავი.

ჩვენ ვამბობთ თითონ დუქნების მდგომარეობაზედ. თუ ჩვენებურ კინტოას მიიყვან და ჩამოსვამ დახლზედ იმისთანა შენობაში, რომელსაც ჭუჭყი გადასდის ყოველ მხრივ, რომელსაც აკლია სუფთა, რიგიანი ეზო, რიგიანი კედლები, იატაკი და სხვანი,—რასაკვირველია იმ გარემოებაში კინტუა ჰგრძნობს თავის თავს «სამშობლო» ატმოსფერაში და აზრადაც არ მოუვა, რომ იმაზე მეტი სისუფთავე საჭირო-და იყოს ვაჭრობისათვის. მაგრამ, აბა სცადეთ და იგივე კინტო დასვით ლაზათიანს, გაწმენდილს შენობაში და მოსთხოვეთ, რომ შენობის სისუფთავე დაცული იქმნეს იმისაგან; მაშინ ნახავთ, რომ არც ჩვენებური ხალხია ისეთი მოყვარე ჭუჭყიანობისა, როგორც ეხლა ვართ მიჩვეული ამ აზრსა.

ამ მხრით თუ შევხედავთ საქმეს, მაშინ ისე ველარ გავამტყუნებთ თითონ ვაჭრებს; მაშინ, სამაგიეროდ, ჩვენ გვეთქმის დიდი სამდურავი როგორც შენობების პატრონებზედ, ისე ქალაქის გამგეობაზედაც.

აილეთ, მაგალითად, იარმუკის ყასაბხანები. რასა ვხედავთ აქა? სულ ორმოცამდის დუქანია ყასბებისა ხსენებულ ადგილზედ. ჯერ თითონ ადგილი როგორია! ჩავარდნილი, დახლართული და ვიწრო. რაც რამ ჭუჭყი მოიპოვება იარმუკის ზემოთ ქალაქის ნაწილებში—სოლოლაკზედ, მთაწმიდაში—ეს სულ მიემგზავრება იარმუკისაკენ, მეტადრე თუ ერთი ბეწო წვიმამ დაჰკრა ქალაქს. სხვაგან რომ მტვრის კორიანტელი ასდიოდეს ქუჩებს, აქ უეჭველად გუბეები უნდა იდგეს და თუ გუბე არა, ტალახი მაინც არ ასცდება ამ ადგილს.

დაუმატეთ, რომ აქ თავს იყრის, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ნახევარი ქალაქის ლაქია-მზარეულები სხვა-და-სხვა პროვიზიისათვის; წარმოიდგინეთ, რომ იმოდენა მედუქნეები, ყასბებთან ერთად, სულ ქუჩაში ჰყრიან დუქნის ნაგავსა და ტალახს; რომ ქუჩების ჭუჭყთან ყოველივე ესე ერთად იშლება, ლპება და აყენებს საძაგელს მძორის სუნსა,—და როცა ყველა ამას იქონიებთ სახეში, მაშინ გამოტეხით იტყვით, რომ კინტუა ასე დამნაშავე არ არის ხსენებულ უსუფთაობაში. თითონ დუქნის გარეგანი მდებარეობაცა ჰბადავს იმ უსუფთაობას, რომელიც შეგხვდებათ საყასბოში, ფურნეში, მიკიტანხანაში და სხვებში.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ნახეთ ახლა თითონ ის შენობები, სადაც ამოდენა დუქნებს მოუყრიათ თავი.

---

## «დროების» ფელეტონი, 22 დეკემ.

### მარია

(მოთხრობა მეტა სორელისა)

(ფრანცუზულიდგან.)

დილის ხუთი საათი იყო; ლაგუნებს განთიადი დასტყობოდათ და ვენეცია ჯერ კიდევ წმინდა ბუღუში იყო გახვეული, რომელსაც მზე ნელ-ნელა ჰფანტავდა და ისე ელერსებოდა დედა-მიწას, როგორც რომელიმე საკვირველი სანახავით თვალ-გატაცებული კაცი ელერსება ამ სანახავს და თითო-თითოდ ჰპოულობს მის მშვენიერებას.

ჯერ მზემ თავისი ცხოველი სხივი ბენონის ძეგლის ვარაყიანს თავს მოჰფინა; მერე ცეცხლი მოსდო სანტა-მარიას ლამაზ გუმბათს, ალმაცერად ესროლა თავისი სხივები დიდს-არხს და განაბრწყინა ვენეციის დიდებულ შენობების სიძველით გაშავებული მარმარილოს კედლები. ხანდისხან ადრიან გამოსული ნავი ჩუმად ჰკვეთდა წყალს და ვენავე თავის ნიჩბებზედ გადახრილი ხანდაზმულად მენავურად გაჰკიოდა.

სანამ ჩაჯდებოდა გონდოლაში, რომელიც დიდის-სასტუმროს კარებზედ ელოდა, მარია შეჩერდა და დაუწყო ყურება თავის საყვარელ ადრიატიკის ზღვას, თავის საყვარელს ვენეციას.

იგი იდგა უძრავად და სუნთქავდა მლაშე და ნოტიო ჰაერს, რომელიც აცხოველებდა მას და გულ-მკერდს დიდი-ხნით განუცდელ სიამოვნებით უვსებდა. ბოლოს წასვლა გადასწყვიტა, ანიშნა მენავეს მოახლოვებოდიყო, ჩახტა შიგ მენავის დაუხმარებლად და მიჯდა ერთს კუთხეში; ჯერ კი უბძანა მენავეს აეხადა ის შავი უსიამოვნო საფარი, რომელსაც ყველა ვენეციის ნავებს უკეთებენ. მარიამ დააწყო სკამზედ თასმით შეკრული წიგნები, გაზეთები, წერილები და ამ დროს თითიდამ წასძვრა ბეჭედი, რომელიც იმის გამხდარ თითებს თორხნად მოსდიოდა. ეს უბრალო ნივთი ჯერ ნავის კიდეზედ დაეცა და მასუკან წყალში გადავარდა. მარია იყო ცრუ-მორწმუნე, როგორც სხვა ქალები,—ისა სჯობს ვსთქვათ, როგორც მთელი ქვეყანა, რადგან რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, მაინც ერთ-ერთი ცრუ-მორწმუნეობა უნდა ჰქონდეს, რომლისაცა რცხვენიან, რომელსაც მალავს, მაგრამ რომელიც ყოველთვის მოქმედობს მასზედ. ყმაწვილს ქალს ფერი ეცვალა, მაგრამ თავი შეიმაგრა, უნდოდა თავისი სისუსტე დაემალა, თავისივე თავი სასაცილოდ აეგდო.

— თუ ადრიატიკის ზღვა ისე დაეცა, რომ ჩემს ბეჭედსაც კი არა სწუნობს დოჟების ბეჭდების შემდეგ, დეე ჰქონდეს! მასუკან მიუბრუნდა მენავეს და უთხრა:

მურანოში წადი. ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ; მზე ძალიან შეგვაწუხებს.

თუმცა სექტემბრის ბოლო იყო, მაგრამ მარიას მაინც უნდა შინებოდა მზისა; დალოცვილ იტალიაში ზაფხული გვიან გადის,—ოქტომბერმა ივნისის დღეები ხშირად იცის.

მარია ცოტ-ცოტა დამშვიდდა, თუმცა თითები ციებიანსავით ოდნავ უკანკალებდა; ისა ჰხსნიდა ერთი-მეორეზედ და ჩქარ-ჩქარა კითხულობდა ამ საყვარელ წერილებს, რომელთაც მისთვის დიდხან ელოდნათ... იმის საამო პირნი ყველანი კარგად არიან. ღმერთო, რა სისულელეა, რომ ცრუ-მორწმუნეობამ ისე აალელვა! ყმაწვილმა ქალმა მხრები აიწია, რა გაიფიქრა ამ სიბავშვეზედ... ჰქონდა კი მიზეზი შინებოდა უსიამოვნობისა: რამდენიმე ხანია, რაც ამის სახელზედ წერილები ვენეციაში მოდიოდა და თითონ კი მოგზაურობდა ლომბარდიაში, პიემონტში და სხვა უფრო მოშორებულ ქვეყნებში. წინა-ღამეს დაბრუნდა ვენეციაში, მოიკითხა წერილები, მაგრამ მეორე დილამდის ვერ მისცეს. ღმერთო, რა კარგია, როცა შიშის შემდეგ მშვიდდები, ტირილის შემდეგ სიცილითა სტკბები! მარია ამ ჟამად ჰგავდა ბავშვს, რომელსაც ხელში აძლევენ ქალალდისაგან გამოჭრილ მგელსა, ბნელაში მისთვის საზარელ საგანს. მარია დაეყრდნო ბალიშებზედ და მიდუნებულ თითებს წყალს აყოლებდა, თითქო უნდოდა სიგრილით ესიამოვნა. ხანდისხან ხელში ზღვის ბალახი ჰხვდებოდა, რომელსაც მაღლა აიღებდა ხოლმე მხოლოდ იმისთვის, რომ პატარა მოშორებით უკანვე ჩაეგდო და

დაიწყეთ ბ. ამიროვის შენობიდგან, სადაც ყველაზე მომეტებული ყასბები ჩამწკრივებულან რიგზედ. პაწაწინა ნომრები, რომელნიც დაუქირავებიათ ყასბებს, და სადაც ორი კაცი ძლივს მოტრიალდება, დუქნებს კი არ გაგონებთ, არამედ რაღაც ბოშა ხალხის საცოდავ ალაჩუხებს, რომელთაც არც კარები აქვთ, არც კედლის მზგავსი კედლები, არც სარდაფები, ეზოში ძაღლსაც არ შეესვლება ტალახისა, პუჭყისა და ნაგვისაგან, და რომელნიც დაჰყურებიან პირ-და-პირ მიწას, მაშასადამე, რიგიანი იატაკი ან ლამფა სრულებით არ გააჩნიათ ამ რაღაც საცოდავ ალაჩუხებს, თითქო ბ. ამიროვს მტრის ნიადაგზედ წამოუშენებია თავისი დუქნებიო მარტო ომიანობის დროსათვისაო და, გათავდება თუ არა ომი, თითონვე თავისის ხელით წაუკიდებს ცეცხლს ამ შენობასა და გადასწვავსო, რომ მტერმა არა ნახოს იგი და მასხარად არ აიგდოსო მოწინაალმდეგეთა საჭირო ადგილიო.

მართლაც, რომ მეტს მტრობას ძნელად გაუწევდა ბ. ამიროვი მთელს ქალაქსა და მეტადრე საცოდავ ყასბებს. წარმოიდგინეთ ზემოთ-აწერილი დუქანი, რომელსაც ცხრილივით გასდის წყალი, თუ ერთი წვიმამ წამოურბინა ან თოვლი მოვიდა, და უთქვათ—იქნება-ლა ქვეყანაზედ სხვა ადამიანი, ვინც თითო ისეთს დუქანში იღებს ქირას ხუთი თუმნიდამ მოკიდებული ათ-თერთმეტი თუმნამდის თვეში და სრულებით არა ფიქრობს შენობის გადაკეთებაზედ!? არა მგონია, სხვა ასეთი ეგზემპლიარი კიდევ მოიძებნებოდეს დედა-მიწის პირზედ.

მართალია, ასეთ ნაკლულევანებას ვერ უპოვნით სხვა შენობებს, თ. მუხრანსკისა და ბბ. ბარხუდაროვების დუქნებში; მაგრამ იქაც უშველებელი ქირა, იქაც უხერხულობა. რა ქნას ყასბმა, რომელიც იხდის ამოდენა ქირასა და უხერხულობის გამო ორ დღეზედ უყროლდება ხორცი? მართლაც, რომ იმისთვის ძნელია დაიცვას ისეთი სისუფთავე, როგორსაც ითხოვს თითონ ხელობა, მცხოვრებლების ინტერესები, ქალაქის გამგეობა.

ამიტომაც ვეგებებით მეტის სიამოვნებით იმ ამბავს, ვითომც გამგეობასა აქვს განზრახვა თითონ ააშენოს სახერხო ადგილზედ, ყველა საჭირო მოწყობილობით, სახლი, სადაც შეეძლოთ გადასვლა ყასბებს და რიგიან ადგილზედ რიგიანად, სუფთად ივაჭრონ, და სალდათის ბაზარში ყველას აუკრძალოს ხორცის გაყიდვა.

მაშინ მაინც იგრძნობენ ბბ. ამიროვი, ბარხუდაროვები და თ. მუხრანსკი, რომ ვისაც ფულის აღება უნდა, იმან კიდეც სინიდისისამებრ დაიმსახუროს ეს ფული და არა სარგებლობდეს გარემოებით ისე, როგორც ისარგებლებს ხოლმე მარტო ანგარ. ყასბებს მიჰყვებიან უკან ეს იმოდენა წვრილი ვაჭრები, რომელნიც მწვანილეულობას ჰყიდიან, იმიტომ რომ ვინც ხორც იყიდის, იმას სანელებელიც მოუნდება. სწორედ სასიამოვნო იქნება ასეთი გადასახადით დასჯა ზემო-ხსენებული მეპატრონეების. სამაგიეროდ, მაშინ თითონ ქალაქის გამგეობასაც უფრო მომეტებული ნება ექნება მოსთხოვოს ხორაგეულის ვაჭრებს სისუფთავეცა და სიიაფე. თითონ ყასბებიც, რომ დაინახავენ გამგეობის ასეთს აშკარა მზრუნველობას, ცოტა სისუფთავეს მაინც შემოიღებენ, უეჭველია, და კიდეც გააიაფებენ საქონელს. მაშინ თითონ ქალაქსაც გაუადვილდება კანტროლი.

## შინაური ქრონიკა

—— ჩვენს მკითხველებს უნდა ვაცნობოთ რამდენიმე ახალი ამბავი ჩვენის ლიტერატურის შესახებ:

«წერა-კითხვის საზოგადოებას» გარდუწყვეტია გამოსცეს მიხ. ჭაჭ.-ძის ფიგიანისაგან გადათარგმნილი სახელმძღვანელოები, რომელნიც ამას წინად იყვნენ ჩვენს გაზეთში ჩამოთვლილნი. თუ ეს აზრი შესრულდება, ამით ჩაიყრება საძირკველი ბუნების მეცნიერებისა ჩვენს ენაზედ.

ამ დღეებში გამოვა პირველი სანიმუშო ნომერი ჟურნალის «ნობათისა».

გამოვიდა მეთერთმეტე წიგნი ჟურნალის «Iვერიისა» ამ შინაარსით: 1) წერილები ლორენცო ბენონისა (დასასრული); 2) რუსულის სკოლის დასაწყისი ჩვენში ს.—ნისა; 3) საანდაზო ლექსები (ამოკრეფილნი «მეფხვის ტყაოსნიდამ», «ქილილა და მანიდამ» და «ბურამიანიდამ») 4) საზღვრძნეთი; 5) შინაური მიმოხილვა.

ჩვენ მოგვივიდა ქართული კედლის კალენდარი, გამოცემული თ. პ. ბ. წულუკიძის სტამბისაგან. როგორც თვითონ გამომცემელი ამბობს, ეს პირველი მაგალითია ქართულის კედლის კალენდრის გამოცემისა და როგორც ყოველს პირველ ნაბიჯს ზოგიერთა ნაკლულევანება ეტყობა, მეტადრე გარეგანის მხრიდგან; იმედი გვაქვს, რომ ეს წვრილმანი ნაკლულევანება მომავალში აეცდება ამ კალენდარს. ეხლა არ შეგვიძლიან სრული ჩვენი თანაგრძნობა არ გამოვუცხადოთ ბ. წულუკიძეს ამ ახალი აზრის განხორციელებისათვის. კალენდარი ღირს 60 კაპეიკი.

—— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქის გამგეობას ამ ხანებში განუზრახავს—აკრძალოს პუჭყიან იარმუკაზედ ხორცის გაყიდვა, ააშენოს თავის ფულით, სახერხო ადგილას, რიგიანი დუქნები, საჭირო მოწყობილობით, სარდაფებით, რომ ხორცი არა ფუჭდებოდეს, და სხვებით, და იქ გადაიტანოს საყასბო, რომლის აშენებაც ქალაქს დაუჯდება იაფად და, ეხლანდელი ფასების ნახევარი ქირაც რომ აიღოს, დიდი შემოსავალი ექნებაო. სწორედ რომ დროა ასეთი მზრუნველობა გამოიჩინოს ქალაქის გამგეობამ მცხოვრებელთა საჭიროებაზედ.

—— ნამდვილად შევიტყვეთ, რომ თბილისიდამ პირველს სტანციაზე ახტაგლიაზედ 17 დეკემბერს ღამით ბაქოს რკინის გზის მოსამსახურე კაცი მოუკლავთ და გაუცარცვავთ. მკვლელის ჯერ არ აღმოუჩენიათ.

—— კახეთიდამ გვწერენ: «შემოდგომა კახეთში ცივი დარებით დაიწყო, მაგრამ მშვენიერი თბილი და უავდრო დღეებით დაგვირგვინდა; ეს უკანასკნელი გარემოება იყო მიზეზი, რომ შემოდგომის ყოველი მუშაობა წესიერად და სრულად შესრულდა და მომავალი წლის მოსავალსაც იმედიანი სახე უჩანს ეხლავე. თერთმეტს ქრისტეშობისთვეს მოვიდა კახეთში ამ წელს პირველი თოვლი...

---

თვალი ედევნებინა, როგორ მისდევდა იგი მიმცურავ ნავს...

ვინც უბედური არა ყოფილა, არ იცის, როგორ სასიამოვნოა ადამიანის ცხოვრებაში დღე დასვენებისა, როდესაც ფიქრებს გაუტაცნიხარ და არ იგონებ წარსულს მწუხარებით და მომავალს შიშით,—თითქო სიცოცხლე უადვილესი რამ იყოს ამ ქვეყანაზედ, თითქო უფრო უბედურება არ დასტრიალებდეს თავს იმას, ვისაც როდისმე რაიმე ტანჯვა უნახავს! მარია მარტო სიამოვნებით იყურებოდა აქეთ-იქით. Iს უყურებდა, თუ როგორ ილვიძებდა ვენეცია, როგორ დაფუსფუსებდენ გონდოლები; ზოგს ხილი და მწვანეულობა მიჰქონდა, ზოგში მოისმოდა მხიარული ხმაურობა, სიცილი, სიმღერა სამუშაოდ მიმავალი ხალხისა.

მარიამ გაზეთები გვერდზედ მიჰყარა,—ან როგორ უნდა ეკითხნა ვიღაც რეპორტიორების პროზა ამისთანა მშვენიერს დილას? რა ეტონკინებოდა ვენეციის მყუდრო ბუნებაში? მაგრამ, თვისდა უნებურად, დახედა გაზეთების გროვას და მათ შორის ერთი ლამაზი წიგნი დაინახა. სათაურშივე ამოიკითხა სახელი ავტორისა... მარია წამოწითლდა და დასტაცა ხელი ამ წიგნს...

— ვის გამოუგზავნია ჩემთვის ეს წიგნი? იფიქრა იმან და ცდილობდა რომ ადრესის ხელი გაერჩია... ეს იმის ხელი არ უნდა იყოს... და დაიწყო გულმოდგინედ სათითაოდ ფურცლების შლა; რამდენსამე სტრიქონს აქ ამოიკითხავდა, რამდენსამე სტრიქონს იქა. მეტის-მეტად აღელდა და ერთგან გაჩერებას ვერ ახერხებდა.

ეს იყო კრება მშვენიერი მოთხრობებისა და მარიას კარგად ახსოვდა მათი დამწერი... აი ამ მოთხრობას, სთქვა მან, ჩემი სახელი სძევს; და ბოლომდის მარდად ჩაიკითხა.

მარია ეხლა ვენეციაზედ აღარა ჰფიქრობდა. Iმისი ამღვრეული თვალები ველარაფერსა ჰხედავდენ და მხოლოდ წარსულს ჩასცქეროდენ, ათი წლის წინანდელს ამბავს. ათი წლიწადი ხუმრობა ხანი არ არის; მაგრამ მას კარგად ახსოვდა ტკბილად გატარებული დრო ერთს პატარა სალონში.

ეს იყო დეკემბრის დამლევს და პარიჟში სუსხიანი ზამთარი იდგა; ყინვა იყო ისეთი, რომ დიდ ხანს არ დააიწყდებათ პარიჟელებს. მაგრამ იმ სალონში, რომელიც მარიას თავისად ეგულებოდა, არ დასდევდენ ყინვასა და სიცივეს. Iქ ყველა მეგობრობაში ჰპოვებდა თავის გამათბობელ სხივს. ამ საყვარელ პირთ შორის, რომელთ სახე მას კარგად ახსოვდა, იყო მეტადრე ერთი, რომელიც სრულებით თვალ-წინა ჰყავდა ეხლა წარმოდგენილი. Iს იდგა მაშინდელსავით მარიას წინ და მისს დიდებულს სახეს ალმტაცი მჭევრმეტყველება სიცოცხლეს უმატებდა. მარიამ თითქმის პირველსავე ნახვაზე შესწირა მას თავისი გული, ე. ი. თავისი გამოურკვეველი სიყვარული... მარიას ესმოდა ეხლა, რომ მისგან წაკითხული სტრიქონები დაგვიანებული გამოცხადება იყო სიყვარულისა... ეს მაშინ შეიყვარებდა იმას სრულის თვისის სულიერის ძალით, სრულის სინაზით. ეხლა კი... ეხლა ცხოვრებამ გასტეხა... საწყალი მარია! ცხარე ცრემლები ჩამოსცვივდა მას და დაეცა ასოებს, რომელთ გარჩევა ძნელი შეიქნა.

მარია კიდევ ოცნებამ გაიტაცა. Iმ დროს, როდესაც ის ლაპარაკობდა ხოლმე ბუხრის მარმარილოზედ იდაყვ-დაყრდნობილი, იმისი ნაზი შეხედულობა შავად მოჩანდა ნათელ ბუხრის წინ და მარია ახალგაზდა მოლაპარაკის გვერდით შესცქეროდა სასიამოვნო სახეს ქალისას, რომელიც სვეტის ზემოდამ ძირს დასცქეროდა მას. ეს იყო თიხის გამოქანდაკებული ბიუსტი, რომელიც «სამშობლოს» წარმოადგენდა და მარია მარტო იმასა სცნობდა ღირსად თავის მეგობრისა,—იქნება იმიტომ, რომ მარტო ამისი არ ეშინოდა. მარია ჩუმად გრძნობდა, რომ იგი სწირავდა ამას თავის შრომას, თავის მჭევრმეტყველებას, თავის ძალ-ღონეს, თავის არსებობას. როგორი დიადი ქმნილება იყო ის მეგობარი ამისთვის! მარიას არა სჯეროდა, რომ იგი დედა-მიწაზედ დადიოდა, რომ შეეძლო მარიასთან კავშირი, მარიასთან, ამ პატარა ქალთან!

მწუხარებით გაშორდა მარია მას, მიჰყვა მოგზაურობას და ყველგან ჰკითხავდა თავის თავს, რატომ სხვები კი არ მიაგავან იმას, რად ლაპარაკობენ იმ ენაზედ, რომელიც არ ესმის, რად არის თითონ ასე დაქანცული, შეწუხებული, თავ-განწირული.

ამათ ერთმანეთი აღარსად უნახავთ და აი დღეს, ათის წლის გაჩუმების შემდეგ, იგი მოვიდა და უთხრა შუამავლობით ამ პატარა წიგნისა, რომელსაც ყველანი განცვიფრებით უყურებდენ და რომელიც მხოლოდ ამას ესმოდა: «მთელი საუკუნეა, რომ

ლი, მაგრამ ისიც მხოლოდ გამოღმა; გაღმა-მხარში მის მაგიერად ისევ შემოდგომური წვიმები იყო და მას აქეთ მშვენიერი და თბილი დარები დგას».

— იქიდამვე გვატყობინებენ: «გაიცარცვა ეკლესია, ისიც რომელი? გამოჩენილი ლალის-ყურისა, წყაროსთავის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც აგებულია სოფ. ლალის-ყურის თავში, უდაბურს ტყეში, კავკასიონის ერთ ტოტთაგანზე და რომელსაც ათასობით მლოცველი ჰყავს ყოველ წელს. ეს ამბავი ასე მომხდარა: ამ ეკლესიის მამა-მღვდელთ, მამა-პაპითვე ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ამ ეკლესიის ძვირფასს ხატებს მუდამ ინახავდნენ სოფლის ეკლესიაში, რადგანაც გაქურდვისა ეშინოდათ და მხოლოდ დღესასწაულობის დღეს წმ. გიორგისას, ამოასვენებდნენ ხოლმე ამ ეკლესიაში.

მაგრამ წელს კი, არ ვიცით როგორ, ათს გიორგობისთვეს ასვენებული ხატები ქრისტეშობისთვის დამდეგამდე წყაროს-თავის ეკლესიაში იმყოფებოდნენ უდარაჯოდ და მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როდესაც კარები გატეხილი ნახეს. შევიდნენ ეკლესიაში და თვალს წინ წარმოუდგათ გაცარცული კანკელი, რომლის ვერცხლით, ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული ხატები, ფასით ორმოცი თუმნისა, სრულად იყო გაზიდული!.. იმ დროს ლალის-ყურში მყოფს პრისტავს გამოუცხადა ეკლესიის გაცარცვაზე მღვდელმა, მაგრამ ხალხში კი ამ საქმეზედ სხვაფრივ ლაპარაკობენ...»

— მოხუცებული ილის. მახვახოვის მოკვლის თაობაზედ იქიდამვე გვწერენ: «ქრისტეშობისთვის ათს გაისტუმრეს თბილისისაკენ, თავის ცოლის მოკვლაში დამნაშავედ ცნობილი, თავადი ნ. მახვახოვი. არ გაუვლია მას შემდეგ სამი დღე, რომ ელვის სისწრაფით თელავში გაისმა საშინელი ამბავი: გაგზავნილი ნიკ. მახვახოვის ოთხმოც-და-ათი წლის მიხრწნილი ბებიისთვის ვიღაცას ყელი გამოუჭრიათ!.. მაზრის უფროსი ამ ამბის შეტყობისათანავე წავიდა სოფ. კურდღელაურში, სადაც ეს საშინელი ამბავი მოხდა, საქმის გამოსაძიებლად, და რაწამსაც ამ ამბავს ცოტათი მაინც ნათელი მოეფინება, უეჭველად ვაცნობებთ მკითხველს.

— ეს რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ნამდვილი ზამთარი დადგა. ყოველ დღე თოვლი მოდის და თოვლ-ჭყაპმა ქალაქის ქუჩები ძალზედ აატალახა.

— «კავკაზს» აცნობებენ შულავერიდამ, რომ 15 დეკემბერს თ. აფხაზს, იქაურ მაზრის უფროსს, მოუსწრია ბაბაკართან გამოჩენილის ყაჩაღის ალია სალამათ-ოღლის და მის ამხანაგებისათვის. გამართულა თოფების სროლა და თითონ ალია სალამათ-ოღლი მოუკლავთ.

— როგორც «Новое Время» გვატყობინებს, კავკასიის სამხედრო მმართველობას დაკლებია წარსულ ომის ანგარიშებში 990,000 მანათი; სახელმწიფო კონტროლმა, რომელმაც ეს გარემოება აღმოაჩინა, ხსენებული ფული ვალად დააწერა სამხედრო მმართველობას.

## წერილები ქართველ დედასთან.

(მიბაძვა).

### წერილი პირველი.

თქვენ იწერებით, მაშო, რომ თქვენი ლევანი ცოტათი დაცოცავს, ლაპარაკობს და კიდეც ესმის, რასაც ეტყვიან. მართლა რომ სასიხარულო წარმატებაში შესულა თქვენი ლევანი. ეს თქვენ ძალიან სასიამოვნოდ უნდა დაგრჩენოდეთ, მით უფრო, რომ თქვენმა პატარა არსებამ ახლავე თვალ წინ წარმოგიდგინათ თავისი დამოუკიდებელი მოქმედება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა დედას ასე არ ესმის თავისი შვილის პირველი ნაბიჯი: ზოგს ჰგონია—«ახლა დაუდგა ჩვენს შვილს მნელი დრო; სანამ არც დადიოდა, არც არაფერი ესმოდა, მაშინ, სადაც გინდა, დაგდებდო, შიში არა ჰქონდა არაფრისა, მაგრამ ეხლა მართლა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა, ეხლა უნდა დედამ აცდინოს ყოველ გვარი ხიფათი თავის შვილსაო».

თუმცა უწინაც არ უნდა მოგეკლოთ გაფთხილება, მაგრამ ესეც მართალია, რომ თქვენს ლევანს ეხლა უფრო მეტი გაფთხილება ეჭირვება; ეხლა ყოველს თავის გაჭირვებას ტირილით და ყვირილით შეგატყობინებთ და საქმე ის არის, თუ როგორ ავაშოროთ თავიდგან ეს გაჭირვება? წვრილმან ხიფათობისაგან თავის დღეში ვერ დაიცვავთ თქვენს ბავშვს; მაშინ ის უნდა გამოამწყვდიოთ ოთახში, რომელიც რბილი ბალიშებით უნდა იყოს მოფენილი,—რომ წაიქცეს, რბილად დაეცეს და არა იტკინოს რა; მაგრამ ეს ღონისძიება უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო. ბავშვი ისეთ პირობებში უნდა იყოს, რომ პირველადვე ყოველის ფერი გამოსცადოს, ყველა იცნოს. აქედგან აღიზდება ბავშვში ის მშვენიერი თვისება, რომელსაც ჩვენ «თვით-გამოცდილებას» ვუწოდებთ. ამისათვის თვითონ თქვენ უნდა პატარა ლევანს გარეშე სხვა-და-სხვა ხიფათები შეამთხვიოთ ხოლმე, რასაკვირველია, რომელნიც მავნებელნი არ იქნებიან ბავშვისთვის. ამითი შეაჩვევთ მას თავის-თავის დაცვას სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევათაგან. ავხსნათ ჩვენი აზრი უფრო თვალ-საჩინოდ: წარმოიდგინოთ, რომ თქვენი ლევანი მარტოკა დარჩა ოთახში. ამ შემთხვევაში ლევანს მალე ნუ მიეშველებით, იყოს ოთახში მარტოკა; ამითი თქვენ მიაჩვევთ მას ცხოვრებას უხალხოთაც, რომელიც მასუკან მისთვის საჭირო იქნება. თუ ოთახში ისეთი რამ არის, რომელსაც შეუძლიან ბავშვს დიდი ხიფათი შეამთხვიოს, მაგ. სპიჩკა, ანთებული ბუხარი, ადუღებული სამოვარი, მაშინ აი ეს ღონის-ძიება უნდა იხმაროთ: ვიდრე ჩააგონებდეთ ბავშვს, თუ რა უბედურება შეიძლება შეემთხვეს ამ საგნებისაგან, ეს საგნები უნდა მოაშოროთ; ბუხარს წინ იმისთანა რამ დასდგით, რომ ბავშვი იქ ვერ მივიდეს, სპიჩკა და სამოვარიც მოაშოროთ. მერე ნელა-ნელა ჩააგონეთ ბავშვს ამ საგნების მნიშვნელობა და მათგან მოსალოდნელი ხიფათი. ხელი დაადებინეთ ან სამოვარზე, ან ნახშირზე ისე, რომ მეტის მეტი სითბო იგრძნოს, მერე აიღეთ ქაღალდი, ბუხარში ჩააგდეთ და უთხარით,—ბუხარში ყველა ეს დაიწვის, თუ არ გაუფთხილდება, როგორც ეს ქაღალდი დაიწვა-თქო. შენი ხელიც, ფეხიც, ტანისამოსიც ყველაფერი დაიწვის-თქო. მაგრამ ბუხარს დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის; თუ ეს არა, სადილს ვერ გავაკეთებთ, ვერას მოვხარშამთ, თუმცა ბუხართან ისე ახლო არ უნდა მივიდეთ, რომ ხელი არ დაგვეწვოს ისე, როგორც წეღან შენ დაგეწვა-თქო. აგრეთვე ელაპარაკეთ სპიჩკაზე

---

მე შენ მიყვარხარ. შენ ჯერ კიდევ თავისუფალი ხარ, მეც არ გამოვცვლილვარ, მოდი ჩემთან»!

აჰ, ღმერთო, როგორ ამბობს ამას! როგორის საოცარის ნიჭითა სწერს, ხან თითქო მაკრატლითა სჭრის, ხან მედგრად ლაპარაკობს, თითქო ტყვიას ასხამდესო. მარიას გული უთრთოდა და რაღაც გამოურკვეველი გრძნობა აღელვებდა, წარსულის გიჟური ნანვა, ჩუმი შიში მომავალისა.

მერე ეხლა კი დრო არ არის! განა ყველაფერს არ დაივიწყებს ამ ძლიერი სიყვარულის გამო. ღმერთო როგორ შეიყვარებს ამ ერთგულებისათვის. როგორ ნაზად, ერთგულად, მოეპყრობა... როგორ მოუვლის! მეტის-მეტმა შრომამ და ღამე უძილობამ დააზიანა იმისი პოეტური ბუნება. ამბობენ, ძალიან ავად არისო, მაგრამ მარიასთანა მეგობარი მოარჩენს იმას. ორნივ წავლენ სადმე ამის გულისთვის: მხიარულ მზისკენ, აპელსინის ტყეებში, რომელიმე ადრიატიკზედ უფრო ლაჟვარდი ზღვის პირზედ, ნიცაში, მადერაზედ. ყვავილები არ დაიშურებენ და სრულს თავიანთ მშვენიერებას გამოჰფენენ მისდა სასიამოვნოდ.

მერე ნათელს დღეში მარია გამოიტანს თავის საყვარელი ავად-მყოფის სავარძელს, მოუწყობს გვერდით წიგნებს, ხელ-ნაწერებს, იმის საყვარელ კალამს; ჩამოჯდება იმის ფეხთით, ბალახზედ; შეასრულებს ყოველს იმის საწადელს... მაგრამ არ კი მისცემს ნებას დაიღალოს, ოჰ, ღმერთმა ნუ ჰქნას! ერთსა და იმავე დროს ალერსიანიც იქნება, სასტიკიც, შვილიშვილიც, ბებიაც: «კარგი, კმარა, ბატონო; ტვინი ეგრე ხანგრძლივ ვერ იმუშავებს... თვალები დაგიწითლდა, თავიც გიხურს... აიღე ხელი, გენაცვა, თუ გიყვარდე. არ გესმის ჩემი ლაპარაკი? მაშ კარგი»... ამ დროს მარია დაგლეჯს ფოთლებს, ყვავილებს და დაჰყრის ახლად დაწყებულ გვერდზე... ძალიან კი უნდა გაჯავრდეს, რადგან მელანი ჯერ არ შემშრალა ქაღალდზედ და აი დაწერილი გაითხუპნა... მაგრამ მარია გიჟსავით ეხვევა ყელზედ და უკოცნის თვალებს, შუბლს, ტუჩებს.

აპატია, აპატია... მარია სტოვებს თავის ტკბილს ოცნებას. იგი დაინახავს შორს მურინოს და ეძებს თავის ფეხთით პატარა წიგნს, რომელიც ხელიდამ გავარდა.—მაშ ეს ნამდვილია? სწორედ ნამდვილია!.. სიზმარი არ იყო... მარიამ აიღო ხელ-მეორედ წიგნი და დაიწყო კითხვა. საჩქაროდ გადმოაბრუნა პირველსავე გვერდზედ, რომელიც ასე იწყობოდა: «ყველანი დაეტირით მის საფლავს»...

მარიამ რამდენჯერმე გადიკითხა საზარელი წინასიტყვაობა. ცხადია: რიცხვი, სახელი, ყოველისფერი უწყალო ხელს დაუბეჭდია. მარიამ ერთი საშინლად ამოიკვნესა და ამ კვნესამ მენავეც კი შეაშინა... მას ეგონა მომაკვდავის ხმა მესმისო, მოიხედა, მაგრამ მგზავრი ქალის მეტი ვერავინ დაინახა. მარია სრულებით გადაფითრებულიყო, უსიტყვოდ იჯდა და მღვრიე მინებსავით გამომცქერალი თვალები მკვდარი ფრინველის თვალებს მიუგავდა... შეშინებულმა მენავემ მოაბრუნა ნავი და ვენეციისკენ გაეშურა.

მარია გამოფხიზლდა. მენავემ ნავი სასტუმროსთან მიაბა. ინგლისელები, ამერიკელები და სხვა-და-სხვა ერის ხალხი ჭიანჭველებსავით ირევოდნენ მზის შუქზე. ყველას უნდოდა ამ მშვენიერი დღის ჰაერით დამთვრალიყო. ყველა ჩქარობდა, ყველას თითქო საქმე ჰქონდა,—ქალები მხიარულ ტანისამოსში ეჩქარებოდნენ გონდოლებში ჩასასხდომად; დარბაისლებიც კი ცელქობდნენ, ლამაზობდნენ, ჰგრძნობდნენ რომ ბრწყინვალე მზე ერთი-ორად სიცოცხლეს უმატებდა მათ.

მარიამ მოიკრიფა ღონე. იმას უნდა გაეარა ამოდენა ხალხში. სულგანაბულმა, მენავის დახმარებით, აიარა კიბეები. იმის დანახვაზედ ქალებს შეწუხება დაეტყოთ, კაცები ერთ ალაგას გაჩერდნენ... მაგრამ მარმარილოს მგზავსს სიმკრთალეს გარდა მარიას არაფერზედ არ ეტყობოდა, თუ როგორ მღელვარებდა მისი გული. იგი წელში-გამართული ამაყად მიდიოდა სასტუმროსკენ... არეულმა ლაპარაკმა მოაღწია იმის ყურამდე... მხოლოდ რამდენიმე ფრაზა გაარჩია:

— ყოველთვის მარტოკა დადის... მე ეს ტურინშიაცა ვნახე.

— საწყალი ქალი! სთქვა ერთმა მოსეირნემ და პაპიროზი გააბოლა— ჭლექი უნდა იყოს: ეგ შემოდგომის ფურცელსა ჰგავს, პირველივე ქარი ძირს დასცემს.

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩქარა მეც იმის გზას შევუდგე, გაიფიქრა მარიამ.

და სამოვარზე და დარწმუნდებით, რომ ის დღეიდგან ამ საგნებს შიშით კი არ დაუწყებს ყურებას, სასარგებლო საგნებად იცნობს, რომელნიც, თუ არ გაფთხილდა, მავნებელნი შეიქმნებიან. ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ ბავშვს ყურის-გდება აღარ უნდოდეს. ყველაფერი, რასაც კი არიგებთ, ბავშვმა უნდა თვითონვე გამოსცადოს თქვენივე ზედამხედველობით.

ბავშვებს საშინლად უყვართ მოგროვება სხვა-და-სხვა ნივთებისა, რომელნიც კი მის ყურადღებას მიიქცევენ რითიმე, მაგ. აგროვებენ: ნემსებს, ქინძისთავებს, შუშის ნამტვრევებს, დანის პირებს და სხ. აქაც ბავშვს გამოაცდევინეთ, თუ რა უბედურობა მოელის მას ამ ნივთებისაგან, თუ სიფთხილით არ მოეპყრობა. ოდნავ უჩხვლიტეთ ხელში ნემსით და დაუმატეთ, რომ ნემსი უფრო ძლიერ შეერჭობის ხელში, თუ არ გაუფთხილდება; აგრეთვე აუხსენით დანის პირისა და შუშის ნამტვრევების მავნებლობა. ამასთანავე უთხარით, რომ დანის პირი, ნემსები და სხვა ნივთები ჩააწყოს თავის პატარა ყუთში, ჩასდოს მერე პატარა ციგაში და ნელა ატაროს. აქ თქვენვე ასწავლეთ, თუ როგორ მოახერხოს ეს საქმე. ამასთანავე ასწავლეთ, როგორ აიღოს ხოლმე ნემსი, ან სხვა საშიში ნივთი. ესე ნელ-ნელა მიაჩვიეთ ბავშვი ყოველ გვარ შემთხვევას. თუ ბავშვი წაიქცა, მაშინ მიდით და ასწავლეთ, რა სიფთხილით მოიქცეს, რომ მასუკან აღარ წაიქცეს; თუ დედის უნებურად აიღო რამე, მაშინაც უთხარით, რომ მერე აღარ აიღოს; დაუმტკიცეთ, რა ვნება მოაქვს მისთვის ამ საქციელს. ამ ქცევით, თქვენს ბავშვში ბევრს კარგს თვისებას აღზრდით: ცხოვრების დაკვირვებას, თავისის ძალის აწონას, რომ ყველაფრის გაკეთება არ შეუძლიან, რასაც სხვანი და მისი დედა აკეთებს. ამით ეხსნება მას კეთილშობილური თვისება მადლობის გადახდა. როგორც თქვენ ექცევით ლევანს, ისე ძიძა უნდა მოექცეს. როცა ბავშვს რამე შეემთხვევა და იტირებს, ამის დასაჩუმებლად ზოგმა დედებმა და ძიძებმა იციან: ნუ სტირი, განაცვალე — აი მე ვცემო ამას — «ჰმ ჰმ, ჰსცემე თუ არა». ამასთანავე ისიც ტყუილად, ატირდება ხოლმე, ვინც აატირა ბავშვი. ან ამ გვარად აჩუმებენ: «ახია შენზე — კიდევ იგიჟებ, კიდევ ასე მოიქცევი და სხ.! «ორთავე დასახელებული ღონის-ძიებანი მავნებლები არიან: პირველი ქცევით ბავშვში იზრდება სისხლის გარდახდის სურვილი, მეორე შემთხვევაში შიში და იხშობა მასში ის სითამამე და გაბედულობა, რომელიც საჭირონი არიან ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში, როცა ბავშვი რაიმემ აატირა და გააჯავრა, ისა სჯობიან — სხვა საგანზე დაუწყო ლაპარაკი და ის შემთხვევა გაუქარწყლო; მხოლოდ უნდა ჩააგონო, რომ მეორედ იმისთანა შემთხვევაში გაფთხილდეს.

თქვენი ბავშვის წარმატების მნატვრელი

სანდრო.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

20 დეკემბერს.

პეტერბურგი. სუდეიკინის ქვრივს ხუთასი თუმანი პენსია დაუნიშნეს და შვილებს სახელმწიფო ხარჯზე დაუზრდიან.

გენერალს ლესოვოის და კაპიტნებს მოსოლოვს და პოლზიკოვს ბულგარიის მმართებლობა თითოს 12,000 ფრანკს საჩუქარს აძლევს, რადგანაც მათ მთავარს ალექსანდრეს კარგი სამსახური გაუწიეს.

ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს 1 მარტის კატასტროფის ადგილზე ტაძრის აშენება, ამზადებს სამუშაოს, და ადგენს შეწირულობათა ინვენტარს; კედლების შენებას გაზაფხულზე დაიწყებენ.

ხელოვნებათა აკადემია, ნებისამებრ მისის უავგუსტოესი პრეზიდენტისა, ბულგარიაში ჰგზავნის ხელოვანთა იმ ადგილების დასახატავად, რომლებზედაც წარსულს ომში უმთავრესნი ბრძოლანი მოხდენ.

რომი. გუშინ ბუტენევი წარუდგა პაპას და კარდინალს იაკობინის.

სოფია. სახალხო კრებამ სთხოვა მთავარს, სულთანს მადლობა გადაუხადოს ბულგარიის ექსარხოსის კარგად მიღებისათვის და პირველი ხარისხის ორდენი ოსმანიეთი დასაჩუქრებისთვის.

პარიჟი. გუშინ გამბეტის სიკვდილის წლის თავზე ას დეპუტატამდინ წავიდა განსვენებულის მამულში ვილდ'ავრეში დროშებით, და ყვავილებით მოკაზმულს საფლავზედ დეპუტატმა ბერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია გამბეტას პატრიოტული ლტოლვილებანი. ხმებია, რომ იმ პროექტს, რომელსაც ფერრი ადგენს შესახებ კონსტიტუციის გარდახილვისა, მხედველობაში აქვს უმთავრესად, რომ სენატორებს სამუდამოდ არ ირჩევდენ და საზოგადოდ ამორჩევა სიებით იყოს.

ზაგრები. ხორვატიის სეიმის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, რომელთაც სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანეს, ახლად ამორჩეულ-იქმნენ ამ თანამდებობებზე.

21 დეკემბერს

პეტერბურგი. გუშინ, გატჩინოს სასახლეში საფრანგეთის ახალმა ელჩმა გენერალმა აპერმა ჩააბარა ხელმწიფე იმპერატორს თავის რწმუნების ქაღალდები.

ვიატკა. ვიატკის საერო კრებამ სხვათა შორის დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა გაიხსნას ვიატკაში საგლეხო ბანკის განყოფილება და მიეცეს საზოგადო სახარჯო თანხიდამ სესხად 150,000 მანათი.

ბერლინი. გუშინ ახალი წლის გამო იმპერატორს მიულოცეს გენერლებმა და დიპლომატიის წარმომადგენელთა. პოლიტიკური სიტყვა არა წარმოთქმულა-რა.

რომი. ხელმწიფემ მიიღო მილოცვა დეპუტატების პალატის პრეზიდენტისა და სთქვა: ჩემის მშობლის სურვილი აღსრულდა, იტალია ეხლა გაერთებული და დამოუკიდებელია და მომავალში ნეტარი ბედი მოელის.

პეშტი. ტისსამ მიიღო მილოცვა ლიბერალების პარტიისა და განაცხადა, რომ ზემო-პალატის ცვლილებაზედ აღძრავს ლაპარაკს ამავე სესიაში.

# განცხადებანი

Открыта подписка на

„АРХИВЪ РУССКАГО ПИВОВАРЕНІЯ"

Руководство для пивоваренія, соложенія и хмѣлеводства.

Подписная цѣна:

На годъ (24 выпуска)—10 р. с.; на ½ г. (12 вып.)—6 р. с.

Открыта подписка на

„РУССКІЙ МАНУФАКТУРИСТЪ"

спеціальный журналъ для всѣхъ отраслей отечественныхъ мануфактуръ: шерстопрядильныхъ, суконныхъ, бумаготкацкихъ, химическаго дѣла и пр. и пр.

Подписная цѣна:

На годъ (24 вып.)—10 р. с.; на ½ г. (12 вып.)—6 р. с.

Редакція обоихъ журналовъ находится въ Москвѣ, Милютинскій пер., д. Фульда.

*Редакторъ издатель Д. Чехъ.*

(3—1)

**ინბირის** მურაბის ბანკა 85 კაპ., მშვენიერი აპელსინის მარმელადი ქილა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტყლაპი ხმისთვის და ხველებისთვის გირვანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ., ფინჯნები ლამბაქებითა დუჟ. 2 მ. 40 კ.-დამ, წისქვილები ყავისთვისა 1 მანათიდამ, ბეზმენი სასწორი 1 მან. 25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-დამ, **ინგლისის მაღაზიაში.** აქვე იყიდება ძალიან იაფად: ჩაინიკები, ფოლნოსები, პრიბორი და სხვა საქონელი ბრიტანიის მეტალისა, ფანრები, უთოები, უნაგირები; კლეონკები და სხ. მზის საათი და ხელოვნებითი ყვავილები შუშის კოლპაკებით **ნახევარ ფასად** იყიდებიან.

(8—3)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2—,, | — — 3—,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—78)

მშვენიერი **ჩუჩუ-ჩუჩაი** ამ წლის ბოლომდის იყიდება რეა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად.

(18—2)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სახალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნაჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ.

(100—34)

*Довз. ценз. Тифлисъ, 21 Декабря 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.